



გამოდის 1993 წლის მარტიდან  
2000 წლის მარტიდან გამოდის თვეში ორჯერ

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:  
WWW.opentext.ge/menora

# შენი

გაღმგვაფინე შუქი შენი სახისა, უფალო!

ფსალმუნი 4:7

გერაული ბაჟიტი	“מנורה”	„МЕНОРА“
საქართველოში	עיתון יהודי	ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА
MENORA	בגורגיה	В ГРУЗИИ
JEWISH NEWSPAPER		
IN GEORGIA		

მანისი
(603560)
15-31
№10 (250)
(5767 ზმლი)
2007 ზმლი
ფასი 50 თეთრი

# מנורה

შაბუყოთია – თორის მიღების დღესასწაული დღევანდელ დღეს ებრაელობას სინაის მთის ძირას მოშე რაბინუს ხელით ებოძა თორა.

მეფე ღავითი შაბუყოთში დაიბადა.

ამ დღეს კაცობრიობამ გადადგა ნაბიჯი ცივილიზაციისაკენ.

მეფე ღავითი შაბუყოთში აღესრულა.



მე ვარ შენი ღ-თი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან – მონობის სახლიდან,

არ გყავდეს ჩემს გარდა სხვა ღმერთები,

არ დაიფიცო უფლის სახელი ამაოდ,

დაიცავი შაბათი,

პატივი ეცი შობლებს,

არ იმრუშო,

არ იქურდო,

არ წარსდგე ცრუმოწმედ,

არ ისურვო შენი მოყვასის ცოლი.

1. და ილაპარაკა ღმერთმა ყველს ეს სიტყვა და თქვა: 2. მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანა ეგვიპტიდან, მონობის სახლიდან. 3. არ გყავდეს სხვა ღმერთები, ჩემ გარდა. 4. არ შექმნა მენთვის ქანდაკება და არა-ერთად გამოსახულები იმის, რაც ქანდაკებით, რაც ძირის დედამიწაზე და რაც წყალშია მიწის ქვეშ. 5. თაყვანი არ სწევ და არ ემსახურო მათ, რამეთუ მე ვარ უფალი, ღმერთი შენი, ღმერთი-ქვეყნული, მამების ქალღვას გავუხსენებ შეილვის, მესამე და მეოთხე თაობადის – ჩემ მოძულეებს; 6. და ვიქმნე წყალობის სათსობით თაობებისათვის – ჩემი მოყვარულების და ჩემთა მცნებთა დამცველების მიმართ. 7. არ წარმოიქმნა შენი უფალი ღმერთის სახელი ქვეყნულ-უბრალოდ, რამეთუ არ დაინდობს უფალი მას, ვინც

ქვეყნულ-უბრალოდ წარმოიქმნა მის სახელს. 8. ვახსოვდეს მათის დღე, რათა წმიდაჰყო იგი. 9. ექვს დღეს იმუშავე და გასაყვით ყველს სხვა შენი. 10. ხალხი მემიღე დღე – შაბათი – ეკუთვნის უფალს, შენს ღმერთს; არა-ერთად სხვა არ გასაყვით არც შენი. არც შენს ვაჟს შენი და ქალიშვილს, არც შენს ძმას და მხევალს, არც შენს პირუტყვს და არც შენს ხინახს, რომელიც შენს ქმარს შენი. 11. ვინადაც ექვს დღემი შექმნა უფალს ქვ და დედამიწა, ხოცა და ყოველივე, რაც მათშია, და დასაყვანა მემიღე დღეს; ამიტომ აკურთხე უფალს მათის დღე და წმიდაჰყო იგი. 12. პატივი ეცი მამებს და დედებს, რათა დღეგორჯობად იმ მიწაზე, რომელსაც გაძღვეს შენი უფალი ღმერთი. 13. არ მოკლავს კაცი არ

იმრუშო. არ იქურდო. არ გამოხვიდე ცრუ მოწმედ შენი მოყვასის მიმართ; 14. არ იხლოდო შენი მოყვასის სახლი; არ იხლოდო შენი მოყვასის ქალი, მისი მონა და მხევალი, მისი ხარი და სხვადახრი, და ყოველივე, რაც შენი მოყვასისა. 15. და მოელი ხალხი ამხნევე ქვეყნის და ცვეხლის ალს, ბუკის ხმის და აყვამოებულ მთას; და როგორც ეს დაინახა ხალხმა, მკურთხა და მომლოცო დადგა. 16. და უთხრეს მომეს: შენ გველაპარაკე და მოგისმენთ; ღმერთი ეს ნუ დგველაპარაკებს, რათა არ დავიხლოყო. 17. და უთხრეს მომემ ხალხს: ნუ მიმოხთ, რამეთუ იმისათვის მოვიდა ღმერთი, რომ თქვენ გამოგვადლო, და იმისათვის, რომ მისი შიში იყოს თქვენს სახეებზე, რათა არ შეწყვდეთ. 18. და იღვა ხალხი მომლოცო. და მომე

მიუხლოდა ნისლს, სდაყ ღმერთი იყო. 19. და უთხრეს უფალს მომეს: ასე უთხარი ისრაელის შვილებს: თქვენ ნახეთ, რომ ქრისტიან გველაპარაკებოდა. 20. არ გასაყვით, სდაყ მე ვარ, ვერცხლის კერპები, და იქონს კერპები არ გაიყვითო თქვენთვის. 21. გამოიყვით მე სხვაგვარად მომისაგან და მასზე შემომხირო შენი ყოველ დასახელები და შენი საშვილობო მესახიარაგები, შენი ხერი-ლავის და მსხვილავის პირუტყვი; ყოველ ადგილს, სდაყ გვეხსენებ ჩემს სახელს, მოვალ შენთან და გაკურთხებ. 22. და თუ ქვემისაგან გამოიყვით სხვაგვარად. ხათალი ქვით არ აგო; ვინადაც თუ შენს იარაღს მოუქნე მას, ამით შებლავა. 23. და ნუ ახვალ სხვაგვარად ჩემს სახეგორჯობად. რათა არ გამოჩნდეს მასზე შენი სიძლიერე.



# მეცნიერ-პრაქტიკული ურთიერთობის ახალი ჰორიზონტები

## პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი ქიმიკოსების საკითხებზე

გუშინ 21 მაისს თბილისში დაიწყო საქართველო-ისრაელის I საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი ქიმიკოსების აქტუალური საკითხებზე: „მეცნიერული პრაქტიკული ურთიერთობების ახალი ჰორიზონტები“. კონგრესის ორგანიზატორები გახლავთ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ქ. თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური, ისრაელის საელჩო საქართველოში, ქიმიკოსთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ანთროპოლოგია და სისხლძარღვთა ქირურგიის ასოციაცია. კონგრესის პრეზიდენტი გახლავთ სისხლძარღვთა ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი გივი წიწუაშვილი.

კონგრესში მონაწილეობენ საქართველოსა და ისრაელის წამყვანი ექიმები. ისრაელიდან საქართველოს 24 კაციანი ექიმთა დელეგაცია ეწვია. კონგრესი გაიმართება თბილისსა და ბათუმში.

კონგრესის ჩარჩოებში შედის ექსპოზიციები. სტუმრები გაცნობიან საქართველოს ღირსშესანიშნავ ადგილებს, მონახულებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს.

კონგრესი 21 მაისს „ქორთიარდ მარიოტში“ გაიხსნა. კონგრესის გახსნაზე რამდენიმე სტუმარს გაეცაუბრეთ:


### გივი წიწუაშვილი, პროფესორი:



– დღეს ჩვენ ვიწყებთ ისრაელი-საქართველოს საერთაშორისო სამედიცინო კონგრესს. კონგრესზე წარმოდგენილია ქიმიკოსების აქტუალური საკითხები: ზოგადი ქირურგია, ინსტრუმენტული ქირურგია, ანუ წარმო-


დგენილია ქირურგიის ფართო სპექტრი. ეს კონგრესი ძალზე მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ისე ისრაელისთვის, რადგან ხდება გამოცდილებათა გაზიარება. მარტო ისრაელის მხარე არ გვიზიარებს თავის გამოცდილებას – ჩვენც ვუზიარებთ, ჩვენც გვაქვს გარკვეული მიღწევები. ისრაელიდან 24 მეცნიერი ჩამობრძანდა, მათგან სამი საქართველოდან გამოსული ებრაელია, დანარჩენი მკვიდრი ისრაელია. ბევრი გამოჩენილი მეცნიერი ღებულობს დღეს მონაწილეობას ამ კონგრესში. ეს ძალზე მნიშვნელოვანია.

### ფრანკლინ გრაფი, პროფესორი:



– მე თელ-ავივიდან გახლავართ. საქართველოში სამეცნიერო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვედი. კონგრესში მედიცინის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები მონაწილეობენ. კონგრესში მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ისე ისრაელისთვის.

### შლომო აალონი, პროფესორი:



– ძალზე მნიშვნელოვანი კონგრესია ტარდება, მოხარული ვარ, რომ მეც ვმონაწილეობ. კონგრესში მრავალი პროფესორი ქირურგი მონაწილეობს, ისინი ისრაელის წამყვანი კლინიკებს წარმოადგენენ, მოხარული ვარ, რომ მათ შორის მეც გახლავართ.


### ნეა მანაშერი:

– ჩვენ ისრაელიდან ჩამოვედით, რაბინის სახ. სამედიცინო ცენტრს წარმოვადგენთ. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ცენტრების არსე-




ბობა ხელს შეუწყობს საქართველო-ისრაელის ურთიერთკავშირის გაღრმავებას და ასევე კვალიფიკაციის კადრების მომზადებას, როგორც აქ, ისე ისრაელში.

### რობერტ ველიგულაშვილი (ელიგერი):



– ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი კონგრესი იქნება, პირველი კონგრესია ისრაელ-საქართველოს შორის. ეს ორივე ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია. ჩვენი ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება.

### მერაბ სარელი (ისრაელაშვილი), პროფესორი:



– ჩამოვედით, რათა ერთმანეთს გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება, დავსაზოთ მომავლის გეგმები და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ღონისძიება სასიკეთოდ წაადგება ორივე ქვეყნის ექიმებს და საერთოდ საქმიან მოღვაწეობას.

### სამეცნიერო კონგრესის ხსენებით პროფესორი გივი წიწუაშვილი:

– მოგესალმებით ყველას, დიდი მადლობა მინდა გადაუხადო კონგრესის მხარდამჭერებს: მერიას, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატს, ქირურგიის ცენტრს, ისრაელის საელჩოს საქართველოში. მიხარია, რომ ჩემს თანამემამულეებს ვხვდები. ჩვენი კონგრესია ისრაელშიც გაგრძელდება.

მნიშვნელოვანია ისრაელი – საქართველოს ურთიერთობა, აღსანიშნავია, რომ შარშან პეზხოლასთან ისრაელის ომის შემდეგ პირველი ჯგუფი, რომელიც ისრაელში ჩავიდა და არ შეუშინდა ომს, გახლდათ საქართველოდან, ჩვენ ისრაელში 30-კაციანი შემადგენლობით ჩავედით.

მადლობა მინდა გადაუხადო ბნ მამუკა ქაცარავას დახმარებისთვის. მადლობა ყველას.

### გივი წერეთელი, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:

– დღეს აქ ბევრი ცნობილი ადამიანია ჯანდაცვის სფეროდან, არა მხოლოდ ქირურგიაში. ჩვენთვის ძალიან სასიამოვნო და სასიხარულოა, ჩვენი კოლეგების ხილვა, იმ კოლეგებისა და მეგობრებისა, ვინც დღეს ისრაელში მოღვაწეობს, და რომელთათვისაც საქართველო და საქართველოში მიმდინარე პროცესები არის ძალიან მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, რომ უნდა ვისაუბროთ ჩვენი ქვეყნების მართლაც უახლოეს ურთიერთობებზე, მაგრამ

უნდა აღვნიშნო აუცილებლად სახელმწიფოებრივი კუთხით ზოგადად, რომ ისრაელი ჩვენი არა მხოლოდ მეგობარია, არამედ ჩვენი მთავარი პარტნიორია ეკონომიკაში, მეცნიერებაში, კულტურაში და ჯანდაცვის სფეროში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ჯანდაცვას, მოსახლეობის დაცვის კუთხით. ისრაელი ამ სფეროში არის ერთ-ერთი ლიდერი მსოფლიოში. მისი სისტემა არის ერთ-ერთი საუკეთესო სწორედ იმ პერიოდში, როცა საქართველოში მიმდინარეობს ძალიან დიდი კონცეპტუალური ცვლილებები. პრაქტიკული ნაბიჯები იდგება. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს წამყვან სამეცნიერო წრეებთან, სხვადასხვა ინსტიტუტებთან, ექიმებთან პროფესორებთან აქტიურ თანამშრომლობას, იმისათვის, რომ იყოს დახმარება და ჩვენი ჯანდაცვა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება წავიდეს სწორი გზით. ამ მხრივ ამ კონგრესის დაფუძნება, ეს შეხვედრა იქნება ძალიან კარგი სტიმული სხვა მიმართულებისთვისაც და რაღა თქმა უნდა, ზოგადად ხელს შეუწყობს და კიდევ ერთი შტრიხი იქნება ჩვენი ქვეყნის ურთიერთობებში, ურთიერთ სასარგებლო ქმედებებში, რაც ყოველდღე ხელშეწყობს. კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას საქართველოს სახელით, ჩვენი კომიტეტის სახელით და დიდი მადლობა ორგანიზატორებს, სტუმრებს ჩამობრძანებისათვის და ჩვენ ერთად განვიხილავთ საინტერესო საკითხებს.

### შაბთაი ცური, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში:

– ღრმად პატივცემული საზოგადოებავ! ქალბატონებო და ბატონებო! ჩემთვის უდიდესი პატივია მივესალმო საქართველო-ისრაელის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის დელეგატებს და საპატიო წევრებს. ყველას კარგად გვესმის ასეთი წარმომადგენლობითი კონგრესის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის სამედიცინო სფეროში ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, აქვე აღვნიშნავ პროფესორ გივი წიწუაშვილის დამსახურებას კონგრესის

ორგანიზების საკითხში და მასთან ერთად ყველას უდიდეს მადლობას მოვასხენებ, ვინც ამ საქმეში წვლილი შეიტანა. ისრაელსა და საქართველოს შორის ურთიერთობებზე საუბრისას ყოველთვის ბევრი პოზიტივია, როგორც მოგვხსენებთ, წელს ისრაელსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 15 წელი აღინიშნება. თუმცა, სიამაყით შემიძლია აღვნიშნო, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე ურთიერთობა უფრო დინამიური გახდა. ამის მაგალითია თუნდაც სამედიცინო სფერო.

საელჩოში არსებული მაშავის ცენტრის ეგიდით ყოველწლიურად ხდება ქართველი სპეციალისტების მივლინება ისრაელში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ყოველწლიურად ხდება რამდენიმე ექიმის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება ისრაელის წამყვან უნივერსიტეტებსა და კლინიკებში.

ისრაელიდან ჩამოდან ჯანდაცვის სფეროს ექსპერტები და სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სემინარებს უტარებენ ქართველ ექიმებს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით მოწვევულები იყვნენ „მაგენ დავიდის“ სასწრაფო დახმარების ექსპერტები. საქართველოს ადგილობრივ სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობები და გაიცა შესაბამისი სერთიფიკატები.

აღსანიშნავია, რომ „დავიდის წითელმა ვარსკვლავმა ისრაელში“ და „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ“ ხელი მოაწერეს თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს. მათ შორის თანამშრომლობა დღესაც გრძელდება. „დავიდის წითელი ვარსკვლავის“ წარმომადგენლები ამჟამად საქართველოში იმყოფებიან.

ისრაელის საელჩოს ეგიდით და საქარელოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ისრაელიდან ჩამოვიდნენ კატარაქტზე სპეციალიზირებული ქირურგები.

პროექტის ფარგლებში გაკეთდა კატარაქტის უფასო ოპერაციები თბილისში, ქუთაისსა და ვანში, რის შედეგადაც მხედველობა დაუბრუნდა რამდენიმე ათეულ უსინათლო ადამიანს.

საქართველოში მიმდინარე რეფორმებსა და ძირეულ ცვლილებებს ისრაელში ისეთი ინტერესით ადევნებენ თვალს, რომ ბევრ ისრაელელს გაუჩნდა საქართველოში მოგზაურობის სურვილი.

შემიძლია გითხრათ, რომ ბოლო სამ წელიწადში ერთი ათად იმატა ისრაელელი ტურისტების რიცხვმა საქართველოში.

დასასრულ, მსურს ხაზგასმით აღვნიშნო ამ სამედიცინო კონგრესის მნიშვნელობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავებისა და კავშირების განმტკიცების საქმეში.

### მერაბ სარელი (ისრაელაშვილი), პროფესორი:

– უღრმესი მადლობა ბნ გივი, ქართულენოვანი ებრაელობის წარმოჩენისათვის! მინდა მოგახსენოთ, რომ ისრაელის დელეგაცია არც ისე მრავალრიცხოვანად არის წარმოჩენილი,

დასასრული იხ. მე-8 გვ.



კონგრესის მონაწილეთა ერთი ჯგუფი ისრაელის ელჩთან ერთად



# ისრაელის დედაქალაქის - იერუსალიმის გვერდითანების

პირველი ათასწლეულის გარიჟრაჟზე დამპყრობლობა იერუსალიმი ააოხრეს, ებრაელები სამშობლოდან განდევნეს. ამ მიწაზე ებრაელთა კვალი სამუდამოდ რომ წაეშალათ, ისრაელისა და იუდეის სამეფოებს პალესტინა უწოდეს.

იერუსალიმს ეუფლებიან რომაელები, ბიზანტიელები, არაბები, ჯვაროსნები, თურქები, ინგლისელები. უცხოებაში შთენილი ებრაელები კი გოდებენ: „თუ დაგივიწყა იერუსალიმი, დამიწდეს მარჯვენა ჩემი, ენა ჩემი მაინც სასას ჩემსას.“ გოდებენ 19 საუკუნე - მეორე ათასწლეულის დასასრულს კი უბრუნდებიან თავიანთ ქალაქს - 1967 წელს ისრაელის არმიამ იერუსალიმი დამპყრობლობისგან განთავისუფლა. იგი კვლავაც იქცა დედაქალაქად.

ასეთი განმარტება-შესავალი ჰქონდა დართული მოსაწვევ ბარათს, რომელიც მაისის დამდეგს მიიღეს საქართველოს ხელისუფლების, კულტურის, მეცნიერების, ბიზნესის, თბილისში აკრედიტებულმა უცხოეთის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებმა ქართულ და ინგლისურ ენებზე. 16 მაისს მთელს მსოფლიოში იხიემეს იერუსალიმის გაერთიანების 40 წლისთავი. იხიემეს საქართველოშიც საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა, ისრაელის საელჩომ საქართველოში და საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებამ ეს ღირსშესანიშნავი დღე მოსწავლეთა ახალგაზრდობის სასახლის სახეებიან დარბაზში აღნიშნა. დღესასწაულზე თავი მოიყარეს ქართველი და ქართველ ებრაელთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებმა, კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლებმა.

სადღესასწაულო ცერემონიის გახსნისას მწერალმა, საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარემ **გურამ ბათიაშვილმა** თქვა:



- დღეს მთელ მსოფლიოში აღინიშნება იერუსალიმის დღე. დღეს იერუსალიმის გაერთიანების დღეა. მინდა ორიოდ სიტყვა ვითხრათ იმის თაობაზე, თუ რატომ არის ეს დღე მნიშვნელოვანი: იერუსალიმი საუკუნეების განმავლობაში დამპყრობლების ხელში იყო. მასზე ბატონობდნენ: რომაელები, არაბები, ინგლისელები, თურქები და სხვები და სხვები. თქვენ ამის თაობაზე იცით. 1948 წელს, როდესაც ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ისრაელმა შესძლო გაეთავისუფლებინა იერუსალიმის მხოლოდ ერთი ნაწილი. 1967 წელს კი აი, რა მოხდა: არაბული სამყარო - ხუთი სახელმწიფო - გამაღებელი ემზადებოდა ისრაელის სრული განადგურებისათვის.

ეგვიპტის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა ასე მიმართა ხმელთაშუა ზღვის თევზებს: მოემზადეთ, რამდენიმე დღეში თქვენ ებრაელთა გემრიელი ხორცის ჭამა გელითო. ჩვენ მათ ყველას ზღვაში გადმოვიყვით, და აი, სწორედ მაშინ გახდა ისრაელი „აგრესორი“ - მან ომი დაიწყო არა მაშინ, როცა ეს ნასერს-საბჭოეთის ფაქტორით „ჰქონდა“ დაგეგმილი - ორი დღით ადრე. ისრაელის ავიაციამ მანამ განადგურა ეგვიპტის ავიაცია, ვიდრე იგი ცაში აფრინდებოდა.

ამ ომში ისრაელმა იერუსალიმის აღმოსავლეთი ნაწილიც განთავისუფლა, სწორედ ის ნაწილი, რომელშიც მოქცეულია ებრაული სიძველენი. იერუსალიმი გაერთიანდა. იმ დღიდან 40 წელი გავიდა. აი ამ დღესასწაულთან დაკავშირებით მოგიწვიათ დღეს საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოებამ და ისრაელის საელჩომ საქართველოში.

პირველ სიტყვას ამბობს საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდენტი, აკადემიკოსი **რონ მებრეველი**:

- მოგესალმებით ბატონებო, მოგილოცაეთ



რაბი შლომო გორენმა 1967 წლის 7 ივნისს სეფერ თორით ხელში და შოფარის დაკვრით ამცნო მსოფლიოს ებრაელობას სანუკვარი იერუსალიმის განთავისუფლება



დღევანდელ დღეს - იერუსალიმის დღეს. მსოფლიოს ისტორიაში იშვიათად მოიქმნება ქვეყანა, ერი, რომელსაც მსგავსი დრამატუზმით ეცხოვროს, როგორც ებრაელმა ერმა იცხოვრა. იერუსალიმი მსოფლიო ქალაქია. ჩვენს წელთაღივცხვამდე

1400 წელს იხსენიება იგი პირველად. დიდი ბიბლიური პატრიარქები სწორედ იერუსალიმში მოღვაწეობდნენ. იერუსალიმი არაერთგზის დაილაშქრა. იმპერატორმა ტიტუსმა პირისპირ მიწისა აღგავა იგი, მაგრამ აღდგა და წმინდა ქალაქად დარჩა ისტორიას. მინდა ერთ გარემოებას გაუხსნა ხაზი - საქართველოსთვის, ქართველებისთვის იერუსალიმი ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო. იყო ქალაქი, რომლისკენაც ქართველები ისწრაფვოდნენ. როდესაც დავით აღმაშენებელმა გელათში სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო, მინდა დაისახა, რომ იგი მეორე იერუსალიმი გამხდარიყო. რატომ? იერუსალიმი არის რწმუნის ქალაქი და მაინდა, რომ საქართველოში სიბრძნესთან ერთად რწმუნა განმტკიცებულყო, ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მეორე ფაქტი: შემონახულია ცნობა იმის თაობაზე, რომ ლამა-გიორგი, ახალგაზრდა უფლისწული, როდესაც თავისი წმინდა დედის - თამარის

ნეშტს მიახვეწებდა, დადგა საკითხი თუ სად უნდა დაესვენებინათ იგი - საფიქრალა, რომ წმინდა თამარი (მისი დღე რამდენიმე დღის წინ ვიხიემეთ), სწორედ იერუსალიმის ჯვრის მონასტერშია დაკრძალული. იერუსალიმი დღესაც აგრძელებს სატანტო ქალაქობას. დღესაც მრავალი უსწორდება მას. ჩვენ ისრაელის სახელმწიფოსთან გვაქვს კონტაქტები უმაღლეს სკოლებთან, მეცნიერებასთან. მინდა მადლობა გადაუხადო ბ-ნ შაბთაი ცურს, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა ეს ორი ერი, სახელმწიფო კიდევ უფრო დაახლოვდეს, დააკავშიროს ერთმანეთთან, და ის სიყვარული, რომელიც ტრადიციულად გააჩნდა ქართველ ებრაელობას, გადაიტანოს საერთოდ ებრაელ ხალხზე. ვიმეგობროთ ამ სიტოთი და სიყვარულით. მინდა დღევანდელი დღე მოგილოცოთ ყველას, ქართველს, ებრაელს, ყველა ეროვნების წარმომადგენელს. მინდა გისურვოთ წარმატებები.

**ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში შაბთაი ცური:**

- ქალბატონებო და ბატონებო, უპირველეს ყოვლისა, მოგესალმებით და ვილოცოთ უმნიშვნელოვანეს თარიღს ებრაელი ხალხის ისტორიაში - იერუსალიმის გაერთიანებას.

1967 წელს, ექვს-



დღესასწაულის მონაწილეთა ერთი ჯგუფი

დღიანი ომის შემდეგ, იერუსალიმი გაერთიანდა და ისრაელის მარადიულ დედაქალაქად გამოცხადდა. მას შემდეგ უკვე ორმოცი წელი გავიდა. მეორე საუკუნემდე მრავალი რელიგიისა და კულტურის ხალხი ესწრაფვოდა იერუსალიმში გაბატონებას. ჩვენი წინაპრები იღვენებოდნენ საკუთარი დედაქალაქიდან, რათა საუკუნეების შემდეგ ისევ დაბრუნებოდნენ მას. „თუ დაგივიწყა, იერუსალიმი, დამიწდეს მარჯვენა ჩემი - იმ ეშქახზე, იერუსალიმი თიშქახ იემინი“.

ის უდიდესი დატვირთვა, რაც ყოველთვის ჰქონდა იერუსალიმს, არა მხოლოდ ებრაელი, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის, დღესაც არ შესუსტებულა. არ განულებულა წმინდა ქალაქისათვის ბრძოლა.

ებრაელმა ერმა ყველას აჩვენა, რომ ტოლერანტია ყველა მომლოცველისათვის და მტკიცე ნებისყოფის - მეტროლია მტრისათვის.

იერუსალიმი მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქია და მსოფლიოს კონტექსტში ნიშანდობლივია თბილისის მჭიდრო კონტაქტი ისრაელის დედაქალაქთან. სხვადასხვა ქრისტიანული დღესასწაულის აღსანიშნავად წმინდა ქალაქში მრავლად ჩამოდიან ქართველი პილიგრიმები.

მეამაყება, რომ ჩემი ელჩად დანიშნის შემდეგ, ქართველთა ჩამოსვლა წმინდა მიწაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, ტურისტების რიცხვმა საქართველოდან იერუსალიმში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რაც განაპირობა გამარტებულმა საეიზო პროცედურამ და ისრაელის სახელმწიფოს მჭიდრო თანამშრომლობამ საქართველოსთან.

იერუსალიმში შოთა რუსთაველის ქუჩის გახსნა და მისი ბარელიეფის აღმართვა ქართული კულტურის დაფასების და საქართველოსადმი უდიდესი პატივისცემის ნიშანია.

და ბოლოს, როგორც ებრაელები ამბობენ, „შევხვედეთ მომავალ წელს იერუსალიმში - ბე შანა აბა ბიერუსალიამ“.

კიდევ ერთხელ მოგილოცაეთ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს!

დღევანდელი დღისა და კეთილდღეობას გისურვებთ!

იერუსალიმის „ჯონისის“ კურატორი ამიერკავკასიისა და შუა აზიაში **მაქს ვიზელი:**

- ძვირფასო მეგობრებო, სამწუხაროდ, არ ვარ იერუსალიმის მერი, თორემ იერუსალიმის საპატიო მოქალაქეობას მოგანიჭებდით, რადგანაც თქვენ მოხვედით იერუსალიმის დღის აღსანიშნავად. 34 წელია ქალაქ იერუსალიმში ვცხოვრობ. ძალიან მიყვარს ეს ქალაქი.

მრავალ ქვეყანაში მიცხოვრია, ყოველგვარ ბევრ ქალაქში, არ არსებობს ქალაქი მსგავსი იერუსალიმისა. აქ არის ყველაფერი: საუკეთესო უნივერსიტეტი მთელს ისრაელში, ყველაზე საუკეთესო ქარხანა, ყველაზე უკეთესი სკოლა. იერუსალიმში ჩვენი სკოლები, დაქვორწინდი, დაბადნენ ჩემი შვილები და აქვე ემუშაობ. ვფიქრობ, რომ იერუსალიმზე უკეთესი ქალაქი არ არსებობს. მე მჯერა იერუსალიმის ბრწყინვალე მომავლისა, ვიცი, რომ დღეს რთული პერიოდია, მაგრამ მჯერა, რომ ყველაფერი გამოსწორდება, ჩვენ იერუსალიმში შეგვიძლია შევქმნათ ყველაზე საუკეთესო საზოგადოება, დღეს იერუსალიმში ცხოვრობს 740 ათასი ადამიანი, თბილისთან შედარებით ეს პატარა ქალაქია. საქართველოში ყველა, სხვადასხვა ეროვნების ადამიანი მეგობრულად ცხოვრობს, ასევე იქნება იერუსალიმშიც. არაბები, ებრაელები, სომხები და ყველა, ვინც იქ ცხოვრობს, მეგობრულად იცხოვრებენ. მაშინ ეს ქალაქი იქნება ღია ყველასთვის. ჩამობრძანდით იერუსალიმში!

საქართველოს პარლამენტის წევრი **ლევან ბერძენიშვილი:**

- ქალბატონებო და ბატონებო, ყველას, ვისაც ამ დღესთან კავშირი გაქვთ, ვილოცაეთ. პატარა ვიკავი, 40 წლის წინათ, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ისრაელზე ლაპა-



# 40 წლის დღესასწაული თბილისში



რაკობა როგორც აგრესორზე და მაშინდელი ომის გმირებს მოშე დაიანს, იცხვ რაბინს, შარონს ცუდ ადამიანებად გვიხატავდნენ, ჩემს ეზოში (მრავალი ეროვნების ადამიანი ცხოვრობდა: სომხები, ქართველები, რუსები და სხვა). ბავშვები როცა ვთამაშობდით, ყველას უნდოდა ყოფილიყო რაბინი, შარონი ან მოშე დაიანი. პირა-

დად მე ცალი თვალი მქონდა სპეციალურად აკრული. ახლა განშირდა ფანობა და ფანკლუბების გახსნა. ჩვენ ჩვენი ახალგაზრდობა გავატარეთ ისრაელის ფანკლუბებში. ასეთი იყო ჩვენ ხალხებს შორის კავშირი, კავშირი იმ დღეებს შორის, რასაც ერთიანობა ჰქვია. მაშინ როცა იერუსალიმი დაუბრუნდა ისრაელს, იმ დღიდან იწყება სხვა ხალხების ოცნება გაერთიანებაზე. ყველას, ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ყველას შურის თქვენი, ვინც ექვსდღიან ომში საოცრება მოახდინეთ. მოგილოცავთ ყველას და საკუთარ თავსაც მიულოცავთ ამ დღესასწაულს.

– თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტორის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე **ნონა ელიგულაშვილი**:



– ყველას მოგილოცავთ დღევანდელ დღეს. იერუსალიმ შენ აშენებული ხარ, რათა გაერთიანო შენში ყველაფერი – დაახლოებით ასე მიმართავს ებრაელ ხალხსა და სახელმწიფოს დედაქალაქს მეფე დავითი თავის 122-ე ფსალმუნში. ჯერ კიდევ თითქმის 3700 წლის წინათ აბრა-

ამმა და მისმა ვაჟმა ისაკმა უზენაესის ნების აღსასრულებლად მიმავალ გზაზე, მესამე დღეს შემადლებულ ადგილას ზეციური წარმოსახვითი იერუსალიმი დაინახეს, იერუსალიმი ტაძრის არამიწიერი საოცარი ცეცხლით, რომლის კვამლი ზეცისკენ მიისწრაფოდა, იერუსალიმი თავის თავში ოდიფანზე ნამდვილად აერთიანებს ზეციურსა და მიწიერს. იერუსალიმი ის ადგილია, სადაც თავს იყრიან მცნებები, რომლის ერთობლიობის გამოვლინება კაცობრიობის არსებობას სძენს აზრს, ეს გახლავთ უზენაესი სამართლიანობა, დროისგან დამოუკიდებელი მარადიული ჭეშმარიტება და ნამდვილი არაზედაპირული მშვიდობა. ეგვიპტელთა მონობიდან გამოსული ებრაელობა ასეულობით წლების განმავლობაში ბრძოლით იმკვიდრებდა ადგილს, ერეც ისრაელის მიწაზე, თუმცა, მის შუაგულში რჩებოდა სულ ერთი ციდა ტერიტორია, სულ რამდენიმე კვადრატული კილომეტრი, რომელიც იმ პერიოდში არ ეკუთვნოდა ებრაელებს და მეფე დავითმა გამეფებისთანავე შეძლო და შემოიერთა ეს ტერიტორია, იმ ადგილას მისმა ვაჟმა სლომონმა დაასრულა წმინდა ტაძრის მშენებლობა და მას შემდეგ იერუსალიმი იქცა მსოფლიოს დედაქალაქად. მაგრამ 3328 წ. იერუსალიმის წმინდა ტაძარი უკვე ხელმეორედ რომაელთა მიერ იქნა დარბეული, გადაწვარი და ებრაელი ხალხი სამუდამოდ დევნილი ამ მიწიდან და მას შემდეგ დავით მეფის 127-ე ფსალმუნის სიტყვები, რომელიც პატივცემულმა ელჩმა მოგახსენათ, „თუ დაგივიწყო იერუსალიმ, დამიწდეს მარჯვენა ჩემი“ ხდება ებრაელი ხალხის ფიცის ტოლფასი და ისინი არასოდეს არ კარგავენ იერუსალიმის დაბრუნების სურვილს. 1948 წ. ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღიარებით იერუსალიმი ორ სხვადასხვა ქალაქად არის დაყოფილი და იერუსალიმში ებრაელთა დაბრუნების 1900 წლიანი ისტორიის უკანასკნელ ეტაპად ე.წ. ექვსდღიანი ომი იქცა, რომელზეც მრავალჯერ მოგახსენეს, მაგრამ 1967 წლის 30 იანვარს, მორდუხაი გურის მიერ ქოლ ისრაელის პირდაპირ ეთერში შემახილა სიტყვებმა – „ჩვენ

კოთელთან ვართ, ამცნო მსოფლიოს იერუსალიმის გაერთიანებისა და ებრაელი ხალხისთვის მისი დედაქალაქის დაბრუნების ამბავი. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დღეს, ეს დღე გახლავთ უზენაესის დიდებისა და მის მიმართ მადლიერებისა ექვსდღიან უთანასწორო ომში სასწაულებრივი გამარჯვებისა ერთიანი იერუსალიმის დაბრუნებისათვის, რომელიც თავის თავში ნამდვილად აერთიანებს ჩვენი ხალხის მომავალს და წარსულს.

**გ. ბათიაშვილი**: – ახლა კი მინდა სიტყვა მიეცე საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდალს ბატონ ნიკა ჯანჯღავას, მაგრამ ვიდრე ბატონი ნიკა მიყოფნითან მოვა, მინდა გითხრათ შექმნილი. საბა კლდიაშვილის გმირობა, გახლავთ მომხდარი ფაქტი, რომელიც საუკუნეზე ლეგენდად აქცია. არა ვგონებ გადავაჭარბო, თუ ვიტყვი, რომ ბატონი ნიკას ერთი საქციელი უკვე ლეგენდის სახელს ღებულობს. ამ რამდენიმე წლის წინათ ქართული არმიის ერთ-ერთი მაღალჩინოსანთან ერთად ახალგაზრდა, რეფორმატორი ოფიცერი ნიკა ჯანჯღავა ღია ეთერში სატელევიზიო დისკუსიაში მონაწილეობდა. იმ გენერალმა აუგად მოიხსენია ებრაელობა. ნიკა ჯანჯღავამ მას განუმარტა:

– თქვენ ახლა შეურაცხყოფა მიაყენეთ ერს, რომელსაც პატივს ვცემ. ამით ქართველობასაც მიაყენეთ შეურაცხყოფა. მე გთხოვთ ბოდიში მოიხადოთ ებრაელობისა და საქართველოს წინაშე.

მაღალჩინოსანს, გენერალს ახალგაზრდა რეფორმატორი ოფიცრის მოთხოვნაზე გაეცინა „ურჯულო ებრაელებს ბოდიში როგორ მოეუხადო“.

ნიკა ჯანჯღავამ მას განუცხადა: – თუ ახლავე, პირდაპირ ეთერში არ მოუხდით ბოდიშს საქართველოსა და ებრაელობას, მე დისკუსიას ვტოვებო.

მაღალჩინოსანი სიცილით შეეგება ახალგაზრდა ოფიცრის მოთხოვნას. ბატონმა ნიკამ ღია ეთერში დარბაზი დატოვა. დღეს ნიკა ჯანჯღავა ეროვნული გვარდიის სარდალია. მე ვთხოვე მას მოსულიყო ჩვენს ზეიმზე. დარბაზი მხურვალე ტაშით შეეგება **ნიკა ჯანჯღავას**.



– ბატონო გურამ, მე გააკეთეთ ის, რაც უნდა გააკეთოს ყოველმა წესიერმა კაცმა. მე მარტო თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი არ ვახლავარ, ვარ საქართველოს როგორც მოქალაქე, რომელიც ღმრთობის სახელმწიფო უნივერსიტეტში საკანდიდატო დისერტაცია ექვსდღიანი ომის თემზე დავიცავი. 40 წლის წინათ, პატარა

სახელმწიფომ, რომლის ასაკი 20 წელიც არ იყო, ომში ხუთი ქვეყნის კოალიცია გაანადგურა. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, თუ რა ბრწყინვალედ იყო დაგეგმილი და შესრულებული ოპერაციები სინას ნახევარკუნძულსა და გოლანის სიმაღლეებზე, მაგრამ ყველაზე რეალური სურათი ექვსდღიანი ომისა არის იმ ახალგაზრდა ჯარისკაცების სახეები, რომლებმაც მორდუხაი გურის ბრიგადისთან ერთად განთავისუფლეს ძველი ქალაქი. რა აერთიანებს შავიზღვისპირეთის მხარეს და ქალაქს, რომელსაც დედამიწის ცენტრად ათევენ – დაბრუნების აუცილებლობა. აფხაზეთში ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით, მაგრამ ამისათვის საჭიროა ჩვენ ვიყოთ ძლიერები. ექვსდღიანმა ომმა ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვანახა, როგორ შეიძლება გაანადგუროს დავითმა გოლიათი, შენ თუ ხარ მართალი და განძობ, რომ შენი ბრძოლა არის მართალი, გამარჯვებ. არ აქვს მნიშვნელობა იარაღის უღარუნს, არ აქვს მნიშვნელობა რამდენი ტანკი გყავს, ან რამდენი საარტილერიო დანადგარი გყავს: შენ უნდა იყო მართალი და ჩვენ ამ ბრძოლაში მართლები ვართ. ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით აფხაზეთში, ისევე, როგორც 40 წლის წინათ დავბრუნდით იერუსალიმში.

ლტოლევილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე **თამარ მანარაშვილი**.

– ჩვენთვის საყვარელ ებრაელ ხალხს მიულოცოთ დღევანდელი დღე. განსაკუთრებული სიტყვა და ფერომენია სიტყვა ებრაელი. ჩვენ ქართველები და ებრაელები 26 საუკუნეა ერთმანეთის გვერდზე დგომით ვამაყობთ. იერუსალიმი საქართველოსთვის უდიდესი მაგალითია თუ როგორ უნდა სძლიო ბოროტს. ქართველებს და ებრაელებს ერთი საერთო იდეისკენ სწრაფვა გვაერთიანებს. მშვიდობა გვჭირდება საქართველოსაც და ისრაელსაც. ჩვენ ქართველები და ებრაელები ვართ ის ერები, რომელიც დამპყრობელი არასოდეს ყოფილა, ჩვენთვის ყველაზე დიდი ღირებულება ადამიანის სიცოცხლეა, მშვიდობაა. უნივერსიტეტს ეცვლება თავკაცები, მაგრამ ებრაელთა მიმართ დამოკიდებულება ძალზე მნიშვნელოვანია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ როცა საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოება შეიქმნა, მისი თავკაცი არა ებრაელი, არამედ ქართველი, ჩვენი სასიქადლო მამულიშვილი, უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი ბატონი როინ მეტრეველი გახდა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში წელს 25-27 მაისს იმართება დიდი ფორუმი. 27 მაისს გზემობთ ჩვენი დიასპორის დღეს. ქართველმა კაცმა ყველაზე კარგად იცის, რომ ქართველი ებრაელი არაა ქართული დიასპორა, ებრაელები დიასპორაში აქ იყვნენ და ისინი თავის სამშობლოში დაბრუნდნენ, მაგრამ როცა ჩვენ თანამემამულეებზე საუბარი, არასოდეს გამორჩება ქართველ კაცს ქართველი ებრაელი. პრეზიდენტის ბრძანებით 27 მაისს ამ დიდ ფორუმში, რომელიც 40-ზე მეტ ქვეყანა მონაწილეობს, პირველ რიგში ქართველი ებრაელები მიიღებენ მონაწილეობას.



ჩვენო ძმებო და დებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ იერუსალიმის დღეს, რომელიც ჩვენთვის ასოცირდება მშვიდობასთან, სიდიადესთან და სიკეთის ძლევისთან. კინორეჟისორი, შოთა რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატი **მერაბ კოკოჩაშვილი**: – ძვირფასო მეგობრებო, მოხარული ვარ, რომ მომეცა საშუალება ამ დიდებულ დღეს მოემართო. დღეს მშვენიერი სიტყვები ითქვა აქ, დაემატებოდა, რომ უკანასკნელ პერიოდში, როდესაც ბნურამთან ერთად ფილმებს ვიღებდით, ჩვენ ებრაელი მეგობრები დაგვეხმარნენ, ეს ფილმები ისარელს, ისრაელ-საქართველოს ურთიერთობასა და მეგობრობას ეძღვნება, აგრეთვე იერუსალიმს, ქალაქს, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს სამ უდიდეს რელიგიას. ქალაქის განთავისუფლებით მთელ მსოფლიოს, ყველა ადამიანს მიეცა საშუალება თავისუფლად აღესრულებინა რწმენა ამ ქალაქში. ქართველმა ებრაელებმა უდიდესი როლი ითამაშეს იმ ბრძოლაში, რასაც ისრაელში ასევე ჰქვია. სწორედ მათი ბრძოლის შედეგად 70-იანი წლების დასაწყისში მთელი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან მოხდა ებრაელთა ისრაელში ასვლა. იერუსალიმი და ისრაელის ბრძოლა ჩვენთვის მაგალითი უნდა იყოს.

თუ როგორ უნდა დაიბრუნო დაკარგული, როგორ შეიძლება არ დაკარგო რწმენა და შენი ქვეყნის სამართლიანობა ადაღვინო. დიდი მადლობა, რომ ასეთი მაგალითი არსებობს.

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის, შრომის და სოციალური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **გივი წერეთელი**:

– ყველას მოგესალმებით. ძალიან დიდი მადლობა, რომ მომეცით საშუალება მოგესალმობო. მოგილოცავთ ყველას იერუსალიმის გაერთიანების დღეს. უნივერსალური მოვლენაა, ეს არის მოვლენა არა მხოლოდ ისრაელისა და ებრაელებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის, ყველა იმ ერისათვის, იმ ადამიანისათვის, რომელიც



ესწრაფვის თავისუფლებას, ვისაც სურს, ჰქონდეს ერთიანი ძლიერი სახელმწიფო. ისრაელის სახელმწიფოს ისტორია არის ბრძოლა გამარჯვებისათვის და ბედნიერებაა, რომ ესაა საბოლოოდ გამარჯვების ისტორია. მინდა გამარჯვება ვუსურვო ებრაელ და ქართველ ხალხს, ჩვენი მეგობრობა იყოს კიდევ უფრო მტკიცე და კიდევ უფრო დიდი სიხარულისა და ბედნიერების მომსწრე იყოფილიყავით ყველანი ერთად.

დასასრულს ნაჩვენებია იქნა მოკლე ფილმი იერუსალიმზე.

მოწვეულ სტუმართაგანს რამდენიმე გაზეთი „მენორა“ გაესაუბრა:

საქართველოს პარლამენტის წევრი **კახა კუკუა**:

– დღევანდელი დღე ძალზე მნიშვნელოვანია ებრაელი ერისათვის. ესაა იერუსალიმის გაერთიანების, დედაქალაქის სტატუსში აღდგენის დღე. ჩვენ ეს დღე წინ გვაქვს, ვეულისხმობ აფხაზეთის დაბრუნებას. თეთრი შურით მშურს ებრაელი ხალხი. ექვსდღიან უშამაცეს ომში მთელი მსოფლიო არა, მაგრამ ნახევარი მსოფლიო დაამარცხა.

– საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **ელენე თველიანი**:

– ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ჩემი სამშობლოს დღესასწაულია. ისრაელი ჩემი მეორე სამშობლოა. დღეს ჩემი ზეიმიც არის. ძალიან მიყვარს იერუსალიმი და მინდა, რომ იქ იყოს მშვიდობა.

პროფესორი. საქართველოს ყოფილი ელჩი ეგვიპტეში **აპოლონ სილაგაძე**:

– ყველას ვულოცავ, დამსწრეთაც და მათაც, ვინც არ ესწრება დღევანდელ ღონისძიებას. დღეს ბრწყინვალე დღესასწაულია. ისევე როგორც ყველას, მეც მაქვს ჩემი საამაყო თარიღი, როცა დავაარსეთ საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოება. ამ საზოგადოების პირველი პრეზიდენტი მე ვახლდით. ახლა კი ბნე როინია პრეზიდენტი. მიხარია, რომ ამ ბრწყინვალე ხალხთან და ქვეყანასთან გვაქვს კავშირი. კარგად ვიცნობ ახლო აღმოსავლეთს, გარკვეული პერიოდი ვიყავი იქ. მინდა გითხრათ, რომ იქ ყველაფერი სხვანაირია, სუნიც კი. კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველას.

6060 ლონია



# თქმულეზა ზუთზე

## თავი პირველი

- ეს მოხდა იმ ეპოქაში, როცა მსაჯულნი განაგებდნენ და /როცა/ შიმშილი სუფევდა ქვეყანაში; წაედა ერთი კაცი იეპუდის ბეთ-ლემედან მობის ველზე საცხოვრებლად – ის, მისი მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.
- ამ კაცის სახელი იყო ელიმელეხი, მის ცოლს ერქვა ნაომი, ხოლო მის ორ შვილს ერქვა



მახლონი და ქილიონი; ეფრათელები იყვნენ იეპუდის ბეთ-ლემედან, და ჩავედნენ მობის ველზე და დასახლდნენ იქ.

- და გარდაიცვალა ელიმელეხი, ნაომის ქმარი, და დარჩა ის თავის ორ შვილთან ერთად.
- და შეერთეს მათ ცოლები – მობელი ქალიშვილები: ერთი სახელი იყო ორფა, მეორეს ერქვა რუთი; და ცხოვრობდნენ იქ ათიოდე წელიწადს.
- ისინიც გარდაიცვალნენ ორივენი, – მახლონი და ქილიონი, – და დაკარგა ამ ქალმა თავისი ორი შვილი და ქმარი.
- და ადგა ის თავის რძლებთან ერთად და გამობრუნდა მობის ველებიდან, რამეთუ მოესმა მობის ველებზე, რომ გაიხსენა ღმერთმა თავისი ხალხი – მისცა მათ ჰური.
- და წამოვიდა იმ ადგილიდან, სადაც ცხოვრობდა, და ორივე რძალი მასთან ერთად, და გაუდგნენ გზას იეპუდის ქვეყანაში დასაბრუნებლად.
- და უთხრა ნაომიმ თავის ორივე რძალს: წადით, თქვენ-თქვენი დედის სახლს დაუბრუნდით. ღმერთმა გაგიწიეთ წყალობა, როგორც თქვენ გაუწიეთ მიცვალეულებს და მეც!
- ღმერთმა ინებოს, რომ სიმშვიდე მოიპოვოთ თქვენ-თქვენი ქმრის სახლში და გადაკოცნა ისინი, მაგრამ მათ ხმაშაღალი ტირილი მორთეს.
- და უთხრეს მას: შენთან ერთად დავბრუნდებითო შენს სახლში.
- და უთხრა ნაომიმ: დაბრუნდით, ჩემო შვილებო, რატომ უნდა წამოხვიდეთ ჩემთან? განა კიდევ არიან ვაჟები ჩემს გემში, რომ თქვენი ქმრები გახდნენ?
- დაბრუნდით, ჩემო შვილებო, წადით! მოხუცი ვარ და ქმარი აღარ მეყოლება. კიდევ რომ ვთქვა, იმედი მაქვს-მეთქი, ამაღამე ქმართან რომ დავრჩე და შვილები შემეძინოს;
- განა იმის იმედით იქნებით, ვიდრე ისინი დაიბრუნდებიან? განა ისურვებთ უქმროდ ყოფნას? ნუ, ჩემო შვილებო, ძალიან გამწარებული ვარ თქვენს გამო, რამეთუ მომწედა უფლის ხელი.
- ისინი ისევ ხმაშაღლა ატირდნენ, და აკოცა ორფამ დედამთილს, რუთი კი მასთან დარჩა.
- და უთხრა /ნაომიმ/: აგერ, შენი მახლისცოლი დაბრუნდა თავის ხალხთან და თავის ღმერთებთან. შენც გაკვეცი შენს მახლისცოლს.
- და უთხრა რუთმა: ნუ მეხევენები, რომ მივატოვო და გაგებრუნდ შენგან, ვინაიდან საითაც შენ წახვალ, მეც წამოვალ; სადაც შენ გაათევ დამეს, მეც იქ გავათევ; შენი ხალხი ჩემი ხალხია და შენი ღმერთი ჩემი ღმერთია.
- სადაც შენ მოვედები, მეც იქ მოვედები და იქ დავიმარხები. დაე, მიხლოს მე უფალმა და კიდევ მომიმატოს /უბედურება/, თუ სიკვდილს /გარდა რაიმემ/ გაგვეკაროს მე და შენ.
- და რაეი ნახა, რომ დაეცნებოთ სურდა მასთან ერთად წასვლა, მოეშვა მასთან ლაპარაკს /რომ დაეყოლიებინა/.
- და მიდიოდნენ ორივენი ერთად, ვიდრე შევიდოდნენ ბეთ-ლემედში. როგორც კი მივიდნენ ბეთ-ლემედში, მთელი ქალაქი მდლდარება მთიცვა მათ გამო, და თქვეს: ნუთუ ეს ნაომია?
- და უთხრა მათ: ნუ მიწოდებთ ნაომის, დამიძახეთ მარა /შწარე/, ვინაიდან მეტისმეტად გამამწარა ყოვლადშემძლემ.
- საესე წავედი და ცარიელი დამაბრუნა უფალმა. რატომ უნდა მიწოდოთ ნაომი, როცა უფალმა დამსაჯა და ყოვლადშემძლემ ზიანი მომაყენა.
- ასე დაბრუნდა ნაომი, და მასთან ერთად მობელი რუთი, მისი რძალი, რომელიც მოვიდა მობის ველებიდან; ქერის მის

დაწვებისას მოვიდნენ ისინი ბეთ-ლემედში.

## თავი მეორე

- და ჰყავდა ნაომის ნათესავი ქმრისაგან, ვაჟაკური და სახელოვანი კაცი ელიმელეხის გვარიდან, სახელად ბოაზი.
- და უთხრა მობელმა რუთმა ნაომის: წავალ, რა, მინდორში და ავერეფ ვინმეს /ნამკალში/, ვინც მოწყალე თვალით გადმოხედავს, და უთხრა მან: წადი, ჩემო შვილო.
- წაიდა და მივიდა, და კრეფდა /თავთავებს/ მინდორში მოძვლების კვალდაკვალ. და მოხდა, რომ იგი აღმოჩნდა ელიმელეხის ნათესავის ბოაზის მინდვრის ნაკვეთზე.
- და აი, ბოაზი მოვიდა ბეთ-ლემედშიდან და მიმართა მოძვლებს: უფალი იყოს თქვენთან! და უპასუხეს მას: გაკურთხოს უფალმა!
- და უთხრა ბოაზმა თავის მოსამსახურე ყმაწვილს, მოძველთა ზედამხედველს: ვისია ეს ქალიშვილი?
- და უპასუხა ყმაწვილმა, მოძველთა ზედამხედველმა, და უთხრა: ეს ქალიშვილი მობელი გახლავთ, ნაომისთან ერთად დაბრუნდა მობის ველებიდან.
- და მითხრა: ამაყურევენ და შემაგროვებენ



მნებს შუა მოძველთა კვალდაკვალ. და მოვიდა, და ადრიან დიდიდან აქამდე ფეხზე დგას, ცოტა ხანს თუ იყო სახლში.

- და უთხრა ბოაზმა რუთს: ხომ მოხმინე, ჩემო შვილო, ნუ წახვალ ასაკრეფად სხვა მინდორში და ნურც გადახვალ აქედან, დარჩი ჩემს მობალებთან.
- იქნებე მინდორში, სადაც მკან, და იარე მათ კვალდაკვალ. მე ვუბრძანე ჩემს მოვამაგირეებს, ხელი არ შეგახონ. თუ მოგწყურდება, მიდი ჩამაგდე, მე ხომ უცხოველები ვარ?
- და პასუხი გასცა ბოაზმა, და უთხრა მას: ბევრი მაძებეს ყოველთა იმაზე, რაც შენი დედამთილისათვის მოიქმედე შენი ქმრის საკვდილის შემდეგ, მაატოვე დედ-მამა, მშობლიური მიწა-წყალი და წამოხვედი ხალხთან, რომელსაც არ იცნობდი გუშინ თუ გუშინწინ.
- მოგიბლოს უფალმა შენი მოქმედებისთვის და სრულად გადაგიხადოს შენი ქირა უფალმა, ისრაელის ღმერთმა, იმეტომ, რომ მოხვედი მის ფრთებქვეშ თავშესაფრის საპოვნელად.
- და უთხრა ქალმა: ვბოვებ წყალობას შენს თვალში, რამეთუ მანუგეუმი და /კეთილი/ სიტყვა უთხარი შენი მხვედლის გულს, თუმცადა მე არა ვარ შენი მხვედლივანია.
- და უთხრა მას ბოაზმა: სადილობისას მოდი აქ, ჭამე პური, და ამოაწე ძმარში შენი ლუკმა; და დაჯდა /რუთი/ მოძველთა გვერდით, და მისთავაზა /ბოაზმა/ მას მობალები მარცვლები; ჭამა, გაძა და კიდევ დარჩა.
- მერე წამოგდა ასაკრეფად, ხოლო ბოაზმა შებრძანა თავის მოსამსახურეებს ასე: დაე, მნებს შუა აკრიფოს და ნურას აწყენინებთ.
- ხელეულებიდანაც დააბნეთ და დაუტოვეთ, რომ აკრიფოს, და ნუ დაეყვდით.
- და კრეფდა მინდორში საღამომდე; რაც მოაგროვა, გალენა და დაახლოებით ერთი ეფა/ქერი გამოვიდა.
- წამოიღო და მივიდა ქალაქში. და დაინახა დედამთილმა, რამდენი აუკრეფა; მან კი გამოიღო და მისცა ისიც, რაც დარჩა გაძლის შემდეგ.
- და უთხრა მას დედამთილმა: სად კრეფდი დღეს და სად საქმიანობდი? კურთხეული იყოს შენი მცნობელი/დამფასებელი/. და უკამბო დედამთილს, რაც მოუხდა, და უთხრა: იმ კაცს, რომელთანაც დღეს ესაქმიანობდი, ბოაზი ჰქვია.
- და უთხრა ნაომიმ რძალს: აკურთხოს იგი

უფალმა იმისათვის, რომ არ დაიშურა თავისი წყალობა არც ცოცხლებისათვის და არც მკვდრებისათვის. და /კიდევ/ უთხრა მას ნაომიმ: ჩვენი ნათესავია ის კაცი, ჩვენი გამომსყიდველთაგანია.

- და თქვა მობელმა რუთმა: კიდევ, აი, რა მითხრა: „ჩემს მოვამაგირეებთან დარჩი, ვიდრე მთლიანად მოათავებდნენ ჩემს სამკალს“.
- და უთხრა ნაომიმ თავის რძალ რუთს: კარგია, შვილო, რომ მის მობალებთან ერთად გახვალ და სხვა მინდორში გულს არ დაგვიოდავენ.
- და დარჩა ბოაზის მობალებთან /თავთავების/ საკრეფად ქერის მესა და ხორბლის მეს დამთავრებამდე, და ცხოვრობდა თავის დედამთილთან.

## თავი მესამე

- და უთხრა ნაომიმ, მისმა დედამთილმა: განა არ ვეძებ შენთვის მყუდროებას, შვილო, რომ უკეთესად იყო?
- ჰოდა, განა ჩვენი ნათესავი არ არის ბოაზი, რომლის მობალებთანაც შენ იყავი? აი, ამაღამ ქერს ანიაგებს კალოზე.
- აბა, დაიბანე, ფერუმარული წაისვი, შენი /საგარეო/ ტანისამოსი ჩაიცვი და ჩადი კალოზე. არავის გამოეცნაურე, ვიდრე ჭამა-სმა დამთავრდებოდე;
- და როცა დაწვება, წინასწარ/ შეიტყე ის ადგილი, სადაც წვეს, მიდი, მის ფეხითი აღმოჩნდი და მიუწევი. მერე ის გეტყვის, როგორ უნდა მოიქცე.
- და /რუთი/ უთხრა მას: ყველაფერს ისე გააკეთებ, როგორც მითხარი.
- ჩაიდა კალოზე და ისე მოიქცა, როგორც დედამთილმა დაარბია.
- ბოაზმა ჭამა, სვა, კარგ ხასიათზე დადგა და მივიდა დასაწოლად ზენის ბოლოს. და მივიდა /რუთი/ მალულად, მის ფეხითი აღმოჩნდა და დაწვა.
- და მოხდა: შუალამისას შეკრთა კაცი და გვერდზე გაიწია, და აი, ქალი წვეს მის ფეხითი.
- და უთხრა: ვინ ხარ შენ? და მან უთხრა: მე ვარ, რუთი, შენი მხვედლი. გადააფარე შენი კალთა შენს მხვეკალს, რამეთუ გამომსყიდველი ხარ.
- და უთხრა კაცმა: გაკურთხოს უფალმა, შვილო ჩემო. შენი უკანასკნელი წყალობა პირველზე უკეთესია, – არ გამოედეგე ჭაბუკებს, არც ღარიბებს და არც მდიდრებს.
- ახლა კი, ჩემო შვილო, ნუ გეძინია! ყველაფერს გააკეთებ შენთვის, რასაც მეტყვი, ვინაიდან ჩემი ხალხის ყველა ჭიშკარა იცის, რომ სათონ ქალი ხარ.
- ახლა კი, თუმცა, მართლაც გამომსყიდველი ვარ, არის კიდევ ერთი გამომსყიდველი, ჩემზე უფრო ახლობელი.
- ამაღამ /აქ/ გაათიე, ხვალ დილით კი თუ არ ისურვებს შენს გამოსყიდვას, მაშინ მე გამოგისყიდ, ცოცხლობს უფალი! ისევე დილაშდევ.
- და იწვა მის ფეხითი დილაშდევ, და წამოგდა, ვიდრე კაცი კაცს გააჩრქვდა. და თქვა ბოაზმა: არავინ გაიგოს, თუ ქალი მოვიდა კალოზე.
- და უთხრა ქალს: მომეცი თავშალი, რომელიც გახურავს, და ხელი მოჰკიდე. და მოჰკიდა ხელი, მან კი მიუწა ექვსი /საწყაო/ ქერი, მხარზე დაუდო და თვითონ ქალაქში წაიდა.
- და მივიდა თავის დედამთილთან, და მან ჰკითხა, ვინ ხარ შენ, შვილო? და უამბო ყველაფერი, რაც იმ კაცმა გააკეთა მისთვის.
- და თქვა: ის ექვსი /საწყაო/ ქერი მომცა და მითხრა: „ხელცარიელი არ მიხვიდე შენს დედამთილთან“.
- და უთხრა: დაჯექი, შვილო, ვიდრე შეიტყობდე, როგორ შეტრიალდება საქმი, რამეთუ ეს კაცი არ დამშვიდდება, თუ დღესვე არ მოათავა ეს საქმი.

## თავი მეოთხე

- ხოლო ბოაზი ავიდა /ქალაქის/ ჭიშკართან და დაჯდა იქ. და აი, გამოიარა გამომსყიდველმა, რომელზეც ბოაზი ლაპარაკობდა. და უთხრა:



შემოუხვიე, ჩამოჯექი აქ, მაგანო. მან შეუხვია და ჩამოჯდა.

- და მოიყვანა /ბოაზმა/ ათი კაცი ქალაქის უხუცესთაგან და თქვა: დასხედით აქ. ისინი დასხდნენ.
- და უთხრა გამომსყიდველს: ჩვენი ძმის ელიმელეხის მინდვრის ნაკვეთს ჰყიდის ნაომი, რომელიც მობის ველებიდან დაბრუნდა.
- და ვთქვი: გავანდობ შენს ყურს ასე; იყიდი აქ მსხდომართა წინაშე და ჩემი ხალხის უხუცესთა წინაშე. თუ გამოისყიდი, გამოისყიდე, და თუ არავინ გამოისყიდის, მაშინ მითხარი და მეცოდინება, რომ არავინ არის შენს გარდა გამომსყიდველი, ხოლო შენს შემდეგ მე ვარ. და თქვა მან: მე გამოისყიდი.
- და უთხრა ბოაზმა: იმ დღეს, როცა იყიდი მინდორს ნაომისგან და მობელ რუთისაგან, გარდაცვლილს ცოლისაგან, იყიდი იმეტომ, რომ აღადგინო გარდაცვლილის სახელი მის მამულში.
- და უთხრა გამომსყიდველმა: ვერ შევძლებ გამოსყიდვას, ვაი, თუ ჩემი მამული გავაპარტახო. შენ გამოისყიდე ჩემი გამოსასყიდი, რადგან მე ვერ შევძლებ გამოსყიდვას.
- და ასე იყო ძველთაგან ისრაელში გამოისყიდვისა და გაცვლის დროს ყოველგვარი საქმის დასადასტურებლად: ერთი გაიხდოდა ფეხსაცმელს და მისცემდა მეორეს, – და ეს იყო მოწმობა ისრაელში.
- და უთხრა გამომსყიდველმა ბოაზს: იყიდე შენთვის. და გაიძრო ფეხსაცმელი.
- და უთხრა ბოაზმა უხუცესებს და მთელ ხალხს: თქვენ დღეს მოწმენი ხართ, რომ ვიყიდ ნაომისგან ყველაფერი, რაც გააჩნდა ელიმელეხს, და რაც გააჩნდა ქილიონსა და მახლონს.
- და მობელი რუთიც, მახლონის მეუღლე, შევიძინე ცოლად, რათა აღვადგინო გარდაცვლილის სახელი მის მამულში და არ გაქრეს გარდაცვლილის სახელი მისი ძმების წრიდან და მისი /მშობლიური/ ადგილის ჭიშკრიდან; თქვენ ხართ მოწმენი დღეს.
- და უთხრეს ჭიშკართან მყოფმა მთელმა ხალხმა და უხუცესებმა: მოწმენი ვართ! ღმერთმა ჰქნას, რომ ქალი, რომელიც შენს სახლში უნდა შემოვიდეს, იყოს როგორც რახელი და ლია, რომელთაც ორივემ ერთად ააშენოს ისრაელის სახლი. და მოგებოვებინოს ძალა ეფრათი და შენი სახელი გაავარდეს ბეთ-ლემედში.
- და შთამომავლობით, რომელსაც ამ ახალგაზრდა ქალიდან მოგცემს უფალი, დამსგავსოს შენი სახლი. ფერეცის სახლს, რომელიც თამარმა ჰშვა იეპუდასთვის.
- და წაიყვანა ბოაზმა რუთი და შეერთო ცოლად. და იცხოვრა მასთან, ხოლო უფალმა ორსულობა უბოძა მას /რუთს/ და ჰშვა ვაჟი.
- და უთხრეს ქალბებმა ნაომის: კურთხეულ არს უფალი, რომ არ მოგაკლო დღეს გამომსყიდველი, და განდიდდეს მისი სახელი ისრაელში!
- და იყოს იგი შენი გამამხნეველები და მარჩენალი მოხუცებულობაში, რამეთუ ჰშვა იგი შენმა მოსყვარულე რძალმა, რომელიც შეიდა ვაჟიშვილს გირჩენია.
- და წაიყვანა ნაომიმ ბავუმი, კალთაში ჩაისვა და მისი ვადა გახდა.
- და დაარქვეს მას სახელი მეზობლის ქალბებმა და თქვეს: ნაომის შევიძინა ვაჟი, და უწოდეს მას ოვედი – ის იყო დავიდის მამის იშაის მამა.
- და აი, ფერეცის შთამომავლობა: ფერეცს შევიძინა ხეტრონი.
- ხოლო ხეტრონს შევიძინა რამი და რამს შევიძინა ამინადავი.
- და ამინადავს შევიძინა რახმონი, რახმონს კი შევიძინა სალმა.
- და სალმონს შევიძინა ბოაზი, და ბოაზს შევიძინა ოვედი.
- ხოლო ოვედს შევიძინა იშაი და იშაის შევიძინა დავიდი.



რას ვპითხვობთ ამ კვირასში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლევინი

ნასო



კვირის საკითხავი თავი „ნასო“ ყველაზე დიდია თორის 54 თავს შორის, მასში 176 ფასუქია (წინადადება). საინტერესოა, რომ თეპილიში, მეფე დავითის ფსალმუნებში, 119-ე ფსალმუნიც ასევე 176 წინადადებას შეიცავს, ზეპირ თორაში კი ტრაქტატი „ბავა ბატრა“ ჰქვ-

ლაზე დიდი და ისიც 176 გვერდს მოიცავს. ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომაც ეს თავი ასეთი დიდი ისაა, რომ მას შავუთის – თორის ბოქების შემდეგ შაბათს კითხულობენ და, ამ დღესთან ასეთი სიხალისის გამო აუცილებელია განსაკუთრებით განიმსჭვავლოს ებრაელთა სულები თორის სიტყვებით. რა თქმა უნდა, დღესასწაული „შავუთი“ თორის ბოქების დღე – ებრაელი ხალხის უდიდესი დღესასწაულია. ამ დღის გარეშე, როცა ჩვენ ხალხად ჩამოვყალიბდით, ებრაელები ვერ იარსებებდნენ. თორა ხომ ჩვენი სულია და მის გარეშე ვერ შევძლებდით არსებობას. ხანდახან გვემის, რომ ჩვენს მოდერნიზაციის ეპოქაში თორასაც სჭირდება, გამჭენა ნუ ქნას, მოდერნიზაცია. ასეთი ხმების გასაბათილებლად მინდა ერთი ამბავი მოგიყვებო: ოდესღაც, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჯერ კიდევ არ

ყოფნისაგან ფაბრიკები. ვისაც ფეხსაცმელის სჭირდებოდა, ხარაზს უკვეთავდა. ერთმა ებრაელმა თავისი ვაჟი მეწაღესთან მიიყვანა ფეხსახისთვის ახალი ფეხსაცმელის შესაკერად. ბიჭს ფეხსაცმელი სიხმარში ელანდებოდა და უკვე წარმოდგენილი ჰქონდა, როგორ ჩაიცმევდა ფეხსახში, წაიღოდა სინაგოგაში და ყველას გააკვირვებდა ლამაზი ფეხსაცმელი. ის ძალზე ბედნიერი იყო, როცა მამამ გასასინჯად წაიყვანა. მართლაც შესანიშნავი ფეხსაცმელი გამოვიდა, ბიჭმა მოიზომა ისინი და აღმოჩნდა, რომ მარჯვენა ზუსტად ჰქონდა, მარცხენა კი იმდენად პატარა იყო, რომ ვერც კი იცმევდა. მეწაღემ დაგრძელება სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლის შეკერვა გახდა საჭირო, მაგრამ უკვე ფეხსახისთვის აღარ ესწრებოდა. ბიჭს ისტერია დაემართა, მისი ყველა ოცნება ხუხულასავით დაინგრა. მამა მეწაღეს ეხვეწებოდა, იქნებ, რაიმეს მოფიქრება შეძლოთ. უცებ მეწაღემ განარებულმა წამოიძახა: „უნდა მოვაჭრაოთ ცერი თითი, რომელიც უმლის“. აქ უკვე მამა განრისხდა და დაუყვირა: „გადარეულზე გადა-

რეული ხარ“. ფეხსაცმელი უნდა მოერგოს ფეხს და არა ფეხი - მას. ასევე არიან ისინიც, ვინც ცდილობს თორის კანონები ჩვენს თაობას მოარგონ: აქ ჩამოვაჭრათ, იქ შევცვალოთ, გამჭენა ნუ ქნას. ჩამოვაჭრათ, შევასწოროთ, შევცვალოთ ჩვენი სულები. ეს „ჭკვიანები“ იმ მეწაღეს ჰგვანან. ეს არაა ებრაული გზა. მანამ, სანამ ებრაელებს მისცემდა, გამჭენა თორა სხვა ხალხებს შესთავაზა. ყველა კეთილებოდა, თუ რა ეწერა მასში. გამჭენი მათ ერთ რომელიმე მცნებას ეუბნებოდა და ისინი უარს აცხადებდნენ თორაზე. ხოლო, როცა გამჭენა ებრაელებს შესთავაზა თორა, მათ უპასუხეს შევასრულებთ და გავიგებთ (ნაასე ვენიშნა). ამიტომაც გამჭენა ებრაელებს უბოძა თორა. საინტერესოა, რომ ის მიცემები, რასაც გამჭენი ხალხს სთავაზობდა მათთვის ყველაზე ძნელი შესასრულებელი იყო (მაგალითად, იშპაელის შთამომავლებს უთხრა – არ მოიპარო). რატომ? ხომ შეიძლებოდა შეეთავაზებინა მათთვის ის მცნებები, რომელთა შესრულებაც

მათ აწყობდათ, ვთქვათ, მშობლების პატივისცემა, სტუმართმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული ისე, როგორც საკუთარი თავისა და ა. შ. რატომ არ გააკეთა ეს გამჭენა? პრობლემა თავად კითხვაში იყო: „რა წერია მასში? ანუ შეგვეფერება ეს ჩვენ, თუ არა? ყველა ადამიანური კანონი ხომ მოგონილია ისე, როგორც მას სურს. ამიტომაც თავად კითხვა უკვე ცოდვას შეიცავს. თორა გამჭენის სიბრძნეა და არაა საჭირო იმის კითხვა შეგვეფერება მე, ისეთს როგორც ვარ, თუ არა. პირიქით, თავად უნდა შეეცადო შეიცვალოს, მიიყვანო საკუთარი თავი ამ კანონებამდე, ევრდნობი რა მათი დამდგენის, ე. ი. გამჭენის, სიბრძნეს. ერთხელ ერთმა ბრძენმა ადამიანმა მითხრა: „მორწმუნე ადამიანებს შეეითხებები არა აქვთ, ურწმუნოებს კი – პასუხები. ებრაელებს არ დაუსვამთ კითხვა, შეგვეფერება ჩვენ თორა, თუ არა. და, თუ ამ კანონებიდან ჩვენთვის რაიმე ძნელი შესასრულებელია, საკუთარი თავი უნდა შევცვალოთ და არა თორის კანონები.“

შესვენდრები ნიუ-იორკში სკოლის ახალი დახმავი




7 მაისს ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა ბეთ-ქნესეთში ხალხმრავლობა იყო. აქ მოსული ქართველი ებრაელობა ხედებოდა საქართველოდან ჩასულ სტუმრებს: მწერლებს ჯემალ აჯი-აშვილსა და გურამ ბათიაშვილს, რომლებიც ვაშინგტონში ჩატარებული კონფერენციის შემდეგ ჩამოვიდნენ ნიუ-იორკში ისრაელისადმი მხარდაჭერის პარადში მონაწილეობის მისაღებად.

შეხვედრა გახსნა ქართველ ებრაელთა ბეთ ქნესეთის გამგეობის პრეზიდენტმა რომან ზაკმა-ცხვირაშვილმა. შეხვედრას უძღვებოდა საზოგადოება „თარბუთის“ თავმჯდომარე, პროფესორი მიხეილ როკეტლიშვილი.

ჯ. აჯიაშვილმა ისაუბრა ებრაულ სულიერ ღირებულებებზე, იმ ისტორიულ გზაზე, რომელიც გამოიარა და დღესაც გადის მსოფლიოს ებრაელობა, იგი თანამედროვე ისრაელის ყოფსაც შეეხო, დაახასიათა ისრაელის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, ისრაელის ქართველ ებრაელთა ყოფა.

გ. ბათიაშვილმა ისაუბრა უკვე ჩამოყალიბებულ ტრადიციებზე, როცა იგი საქართველოში შექმნილი თავისი შემოქმედების ნიმუშების წარმოდგენს ნიუ-იორკის ქართველ ებრაელობას, რადგან დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველ ებრაელობას იგი განიხილავს როგორც ერთ მთლიანობას.



გ. ბათიაშვილმა ნიუ-იორკის ქართველ ებრაელობას წარუდგინა საქართველოში შარშან გამოსული დოკუმენტური ფილმი „იმ ეშქახეს, იერუმალაიმ“... ფილმის ჩვენების შემდეგ გ. ბათიაშვილმა უპასუხა შეკითხვებს. ფილმის ღირსება-ნაკლოვანებებზე გ. ბათიაშვილის, ჯ. აჯიაშვილის შემოქმედებით

მისიასა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა მთავარმა რაბინმა აბრამ აშვილმა, ბიზნესმენმა ნოდარ პარლაგაშვილმა, ჟურნალისტმა მანანა ჯინჯიხაშვილმა, კინომცოდნე ოთარ სეფიაშვილმა, რომან ზაკმა, პროფესორებმა ბორის ბუზიაშვილმა და მიხეილ როკეტლიშვილმა, სვეტა სეფიაშვილმა-პარლაგაშვილისამ და სხვ.

გ. ბათიაშვილმა დამსწრეთ წარუდგინა აგრეთვე თავისი ახალი რომანი „ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა“.



თითქმის ერთხმად აღინიშნა, რომ ამ მწერლების სტუმრობა განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. ისინი დიდ აუდიტორიას იზიდავენ და თემის ერთიანობის ფაქტორად იქცევიან.

„თიფერეთ ცვის“ სკოლას კიდევ ერთი დარბაზი მიემატა – 13 მაისს სკოლის დარბაზი სადღესასწაულოდ გაიხსნა. აღინიშნა იერუსალიმის დღე.

ამერიიდან ამ დარბაზში სხვადასხვა ღონისძიებებს გამართავენ და დღესასწაულებს აღნიშნავენ. დარბაზს სხვა დატვირთვაც ექნება – კლუბი „მიშფახა“ (ხელმძღვანელი აპარონ მდინარაძე) თავის ყოველკვირეულ შეხვედრებს აქ, ამ დარბაზში გამართავს.

კლუბი „მიშფახა“ უკვე მესამე წელია არსებობს. იგი რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. არის პროგრამები ქალებისთვის, მამაკაცებისა და ბავშვებისათვის. მამაკაცებს გაკეთილები კვირამი ორჯერ (ორ-ორი საათი) უტარდებათ. გაკეთილებს მორბეობით ატარებენ



გაიზარდა იმ ებრაელების რიცხვი საქართველოში, ვინც ცდილობს დაიცვას ოჯახური ტრადიციები და შაბათი.

კლუბს დაარსების დღიდან სხვადასხვა ქვეყნიდან სტუმრობენ რაბინები. მათ შორის: რაბი არიელ ლევინი, რაბი ელიეზერ მლფსონი, რაბი იაკობ ტიბოგრაფი, რაბი ბაუმი, რაბი შლეზინგერი, რაბი ბროდბენკერი.

პროგრამა „მიშფახა“ რეგულარულად აწყობს ბავშვებისთვის ექსკურსიებს თბილისში: ზოოპარკი, ბოტანიკური ბაღი, ვაკის პარკი.

– კლუბს ბევრი გეგმა აქვს. ერთ-ერთია ახალი პროგრამის გახსნა, ამ პროგრამის მიზანი ახალგაზრდა ოჯახებთან მუშაობაა, ხოლო მათ, ვისაც პატარები ჰყავთ და არ შეუძლიათ ჩვენს კლუბში მოსვლა – აღინიშნა ბ-ნმა აპარონ მდინარაძემ, უნდა შევეწყოთ ხელი, რომ აქტიურად ჩაებათ ებრაულ ცხოვრებაში, შეისწავლონ ის ტრადიციები და წესები, რაც ებრაული ცხოვრებისათვის აუცილებელია. ეს აქამდეც გვექონდა, მაგრამ ახლა მეტი შესაძლებლობა გვეძლევა – ადამიანებს ეძლევათ საშუალება შაბათი ჩვენთან გაატარონ – აქვე დაიძინონ.

კლუბი რეგულარულად ატარებს სემინარებს. უკვე ჩატარდა სემინარი ბორჯომსა და აჭარაში. ბორჯომში ჩატარებული სემინარის თემა გახლდათ „შაბათი ებრაული ხალხის ცხოვრებაში“, მახინჯაურში ჩატარებული სემინარის თემა კი – „ოჯახური სიწმინდის წესები“. წლებადი სემინარი დაგეგმილია, მაგრამ ჯერ არაა გადაწყვეტილი თუ როდის და სად ჩატარდება კლუბ „მიშფახას“ და სკოლა „თიფერეთ ცვის“ მრავალი გეგმა აქვს განსახორციელებელი. ამ გეგმების შესრულებას დიდად წაადგება სკოლის ახალი კუთხილმწოდელი, ჩინებული დიზაინით დამშენებული დარბაზის გახსნა.

დარბაზის გახსნის დღე კი თითქმის სადღესასწაულო გახლდათ. აქ მოვიდნენ ებრაული თემის წარმომადგენლები, მოსწავლეობა მშობლები, იყო გულთბილი სიმღერები, სიტყვები. ხალხი გვიანამდე არ დაიშალა.

მეორე გვერდიდან.

მეორე შესრულებული რომელიმე მუსიკალური ნაწარმოები. ლინა ჩაპლინამ ამ ფილმით სრულად დამახინჯებულად, არაობიექტურად და არასიმპათიურად წარმოსახა ქართველი ებრაელები და მათი ყოფა ისრაელში.

ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დაგვიანებული ქორწილი“, რომელიც გადაიღო ჩვენმა თანამემამულემ, ახალგაზრდა ქართველმა ებრაელმა კინორეჟისორმა – დობერ ქოსაშვილმა.

აუცილებელია დაუყოვნებლივ შეიქმნას მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო ფილმი ისრაელში საქართველოდან ამოსულ ებრაელთა მოღვაწეობის შესახებ, რათა ობიექტურად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე იყოს წარმოდგენილი ქართველ ებრაელთა წვლილი ისრაელის სახელმწიფოს წინაშე. ეს იდეა უნდა განახორციელოს საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესმა, რომელიც დღეს ჩვენს ებრაელობას მთელ მსოფლიოში წარმოადგენს.

საქართველოდან გამოსულმა ებრაელებამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს, ერის მთლიანობაში, რათა სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული ებრაელობა წარმოადგინდეს ერთ მუშტად შეკრულ ებრაელ ერს, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი სულიერი ფასეულობანი, რამაც გადაგვარჩინა ჩვენ როგორც ხალხი, და რამაც შექმნა წინაპირობა ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. უნდა ვიბრძოლოთ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, არარელიგიური და რელიგიის დამცველთა დაპირისპირების, სხვადასხვა სიონისტურ პარტიებს შორის მტრული დამოკიდებულების წინააღმდეგ. ჩვენმა აღდგენილმა სახელმწიფომ ღირსეული ადგილი უნდა დაიკავოს სხვა ქვეყნებს შორის.

59 წელია არსებობს ისრაელის სახელმწიფო უაღრესად მტრულად განწყობილი

არაბული სამყაროთი გარშემორტყმული. 22 არაბული ქვეყანა 230 მილიონზე მეტი მოსახლეობით, ნავთობისა და გაზის დიდი მარაგით. არაბული სამყარო დღემდე ვერ შეირიგებია ისრაელის სახელმწიფოს არსებობას. ისინი ირანის, „ხიზბალის“ და „ხამასის“ მეშვეობით სრული განადგურებით გვემუქებიან. თავისი არსებობის 59 წლის მანძილზე არაბებთან წარმოებულ ყველა, ექვსივე ომიდან, ისრაელი გამარჯვებული გამოვიდა. ამ მოკლე პერიოდში ისრაელის ხალხმა გამოიჩინა არნახული გმირობა, მან გაუძლო და გაიმარჯვა რიცხობრივად ბევრჯერ უამრავ მტერზე.

ხალხს, რომელსაც გააჩნია ესოდენ დიდი დამსახურება კაცობრიობის სულიერ გამდიდრებაში, თავის ქვეყანაში შეუძლია და ვალდებულია შექმნას სამაგალითო საზოგადოება. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ დარწმუნებული, რომ ისრაელს შეუძლია გახდეს ერთ-ერთი მაღალი დონის ქვეყანა თავისი მიღწევებით მეცნიერებაში და თანამედროვე მრეწველობის ყველა დარგში. ისრაელის მოსახლეობა უნდა იყოს ერთ-ერთი ყველაზე სამაგალითო თავისი სულიერი განძეულობითა და ზნეობრივი სიმადლით.

ახლო მომავალში ებრაელთა დემოკრატიული სახელმწიფოს ემუქრება რეალური დემოკრატიული პრობლემა. ამას შეიძლება თავი დაავადოთ ებრაელობის მასობრივი ალიის საშუალებით ამერიკისა და ევროპის ქვეყნებთან. ამისათვის კი აუცილებელია ისრაელის საზოგადოებამ აღადგინოს ალიის მიმზიდველი სახე.

ყოველივე ამის განხორციელებაში საქართველოდან გამოსულმა ებრაელებამ, ჩვენი დადებითი და მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოთ.

ისრაელი, ქ. ხოლონი


### ებრაელი ქიმიკოსი ნობელიანები

სწორად შევსების შემთხვევაში მინიშნულ სეგმში ჩაიწერება კანადელი ქიმიკოსის გვარი, რომელსაც 1971 წელს მიანიჭეს ნობელის პრემია მოლეკულების ელექტრონული სტრუქტურისა და გეომეტრიის შესწავლისათვის.

1. უნგრელი ქიმიკოსი; პრემია (1943) ქიმიური პროცესების შესწავლისას ნიშნადებული ატომების მეთოდის გამოყენებისათვის.
2. გერმანელი ქიმიკოსი; პრემია (1951) მცენარეული სამყაროს საღებავი ნივთიერებების, განსაკუთრებით ქლოროფილის შესწავლისათვის.
3. ამერიკელი ქიმიკოსი; პრემია (1979) რთული ბირ და ფოსფორმუმიდგენილი ნაერთების ორგანული სინთეზის ახალი მეთოდების დამუშავებისათვის.
4. ინგლისელი ქიმიკოსი; პრემია (1962) გლობალური ცილების აგებულების შესწავლისათვის.
5. გერმანელი ქიმიკოსი; პრემია (1918) ელემენტებიდან ამიაკის სინთეზისათვის.
6. ამერიკელი ქიმიკოსი; პრემია (1980) დნმ-ის პირველადი სტრუქტურის დადგენაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის.
7. გერმანელი ქიმიკოსი; პრემია (1905) ორგანული საღებავების სტრუქტურის შესწავლისათვის.

8. ამერიკელი ქიმიკოსი; პრემია (1980) ნუკლეინური მჟავების, მათ შორის რეკომბინატორი დნმ-ის ბიოქიმიური თვისებების ფუნდამენტური კვლევებისათვის.
9. ამერიკელი ქიმიკოსი; პრემია (1972) ფუნდამენტური შრომებისათვის ფერმენტების ქიმიასში.

#### შეადგინა არაბული მხარე



მესამე გვერდიდან.

მაგრამ მსურს დაგარწმუნოთ, რომ ჩვენს აუდიტორიაში იმყოფებიან ისეთი რანგის სპეციალისტები, რომელიც თავისუფლად დაამუშვენდნენ ევროპის წამყვან კლინიკებს. პირველ რიგში მინდა დავასახელო პროფესორი ქირურგი გრანინი, რომელიც ისრაელის დიდ სამედიცინო ცენტრს ხელმძღვანელობს, მეტად წარმატებული ქირურგი, მაღალპროფესიონალი. მინდა მას მადლობა მოვასხურო, რომ ჩემს სამშობლოში ჩამოვიდა და მონაწილეობს ჩვენს ფორუმში. მინდა დავასახელო პროფესორი ბენ-დავიდი, რომელიც თელ-ავივის უნივერსიტეტის ანატომიის კათედრას წარმოადგენს, მადლობა მას ჩამობრძანებისათვის. ასევე მინდა დავასახელო სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების და საერთოდ, ამ პათოლოგიის დიდი სპეციალისტი, დიდი მცოდნე ბ-ნი შლომო აალონი, რომელიც ჩვენთან არის, მე ამ გვარების დასახელებით არ მინდა მოგა-

ბეზროთ თავი – თითოეულ მათგანს მინდა მადლობა გადავუხადო, ახლა კი საქმეზე: მიმჩნია, რომ დღევანდელი ჩვენი შეკრება, კერძოდ საქართველოსა და ისრაელის დღევანდელი ექვსდღიანი ფორუმი უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლავთ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მსოფლიოს დღევანდელი ისტორიულ-პოლიტიკური, თუ გნებავთ, მეცნიერული სფერო განსაკუთრებულ ადგილს მიუჩენს ჩემს ორ სამშობლოს – ერთის მხრივ ისრაელს, მეორეს მხრივ – საქართველოს ჩვენ დღეს უდიდესი მოვალეობა გვაწევს, დიდი ქართველი და დიდი ებრაელი ხალხი მძლავრი ნაკადით უნდა შეუერთდეს მსოფლიოს მოწინავეთა კლანს, ხოლო ქართველები და ებრაელები ერთმანეთს უნდა დაუდგენენ მხარში ჭირშიც და ღვინშიც და ურღვევი კავშირი დაამყარონ. მე მინდა რამდენიმე წინადადება გაეხსენო. დიდი ილიას წერილიდან „ოსმალოს ქართველები“, სადაც ის ხაზგასმით წერს – „არც ერთობა სარწმუნოებისა, არც ერთობა გვარ-ტომობისა,

## არასდროს დასაპირობებელი უიღბლო კასის სსოვნას

ხელში კალმის აღებაც კი მიჭირს, რადგან ვიცი, რომ ჩემთვის და ყოველი იმ ადამიანისთვის, ვინც მას იცნობდა, მეტად მძიმე ტვივლზე უნდა დავეწრო. გაბო მანაშეროვი გაეცინა თბილისში ადრე – 25-26 წლის ახალგაზრდა, როცა იგი, ალბათ, 18-20 წლის ულამაზესი, შესანიშნავი, ყოველმხრივ შეუღარებელი ვაჟაკი იყო. ვნახე, მე იგი მაშინდელი ბერიას სახელობის მოედანზე, ჩემი სახლიდან, ლესელიძის ქუჩიდან, პუშკინის ქუჩით მივდიოდი, კოლმეურნეობის მოედნიდან. ვნახე როგორ გადმოხტა ორთაჭალიდან მომავალი №11 ტრამვაიდან ტრამვაის სვლის საწინააღმდეგო მიმართულებით, შურგით ნახტომით და გადმოხტარია მყარად დადგა ერთ ადგილზე. მომხიბლა ამ ულამაზესმა, შეუღარებელი სისხარტისა და მოქნილობის ვაჟაკმა. მაშინ მე მას არ ვიცნობდი. არ ვიცოდი ვინ იყო – არც ერთხელ, არც წარმომავლობა და არც დღევანდელი ვიცოდი მისი.

თბილისში, ჩემს დღევანდელ მეუღლეზე ახლად დანიშნული კაცი მეუღლის ნათესაობაში, ძლიერ გამოჩნეულმა, ქალაქში გაზრდილმა ჩემი მეუღლის მამიდის შვილმა – დათიკო აჯიშვილმა „დამიპყრო“. მთელი გრძობით და სიყვარულით იგი გახდა ჩემი უსაყვარლესი და ყოველმხრივ მისაბამი ადამიანი. სწორედ მის ნიშნობაზე ჩემს დანიშნულთან – ნორასთან ერთად წავიყვანი. აქ იყო ახლად გაცნობილი მანო მანაშეროვი თავისი ულამაზესი ახალგაზრდა მეუღლით – ნუნუთი, აქ იყვნენ დათიკოს მშობლები და უახლოესი ადამიანები – ჩემი სიმამრი და მისი მომდევნო ძმა – გერმონ სეფიაშვილი. აქ იყვნენ ჩელუსკინელების (სადგურის) ქუჩაზე მდებარე ფართულულის დიდი მალაზიის დირექტორი მდებარეობდა – მეუღლით. თავისი დანიშნულით მოვიდა აი ის, „ლამაზი გაბო“, რომლის ებრაელობაც მხოლოდ მაშინ გავიცე. აქვე ვაგვიყვარა, რომ გაბო მუშაობდა პუშკინის ქუჩაზე ქართული პურის – თონის ზედა საბრუნველზე. მდებარეობდა თამალობა, მეუღლე კი მშვენიერად, მიმზიდველად უკრავდა აკორდიონზე. გაჩაღდა სასიამოვნო ქვიფი. მეც ჩემი სიმღერით ვურადლემა მივიქვი. ალავერდს ჩემთან ხან მანო მანაშეროვი (განუხეხვის მას ღმერთმა) გადმოდიოდა, ხან – სხვა და რა დასანანია, რომ იმ დროიდან ჩემს შესიერებაში ულამაზესი გამოქვეყნების ნუნუ დაქვრივებულია. შემდეგ გაბო მანაშეროვი, ეს ულამაზესი ბიჭი ძალიან დამახლოვდა და მთხოვა მის სასახურში (მალაზიაში), რომელიც ჩემი სახლიდან სამსახურში უნდა გამეყო, ხშირად შემეგლო ხოლმე. აქედან დაიწყო ჩვენი ის ურთიერთობა, ის მეგობრობა, რასაც მეგობარზე „ზედ გადავალა ჰქვია“, იცოდა და ჩვევად ჰქონდა გაბოს. მას შეეძლო ამხანაგ-მეგობრისათვის თითქმის მისი „სულის ამოღებად“ პატივი ეცა და ზედ გადავლოდა.



ჩემმა მასთან დაახლოებამ მაჩვენა, რომ იგი არ იყო თავის ისეთი მოპატივცემული, როგორც მეგობრისა. ბევრიც რომ მქონოდა სურვილი სამაგიერო მიმეზლო მისთვის, ამისთვის არც აზროვნება და არც შეძლება მქონდა ალბათ. რადგან ყველანაირის მოფიქრებამდე, მას უკვე ნათქვამი და აღსრულებულიც ჰქონდა. გაბოს, ამ ულამაზეს ვაჟაკს, მისმა სილამაზემ და ვაჟაკურმა ქცევამ ზუსტად იგივე სამსახური გაუწია, რასაც ლამაზ ირემს უწევდა მისი ულამაზესი და სართულგობიან რქები – ასე მგონია, ვაჟაკურმა მონაცემებმა და სილამაზემ გაბო ცოტათი ააცდინა სწორ გზას. ამას ამბობს მისი „მანაშეროვი“, მეგობრებისათვის თავდადება და სიყვარული მას სიკვდილამდე შემორჩა და არ შემორჩა უბრუნებელი 19-20 წლის საუკეთესო შვილი – სოსო. ასევე არ შემორჩა მისი დიდებული ოჯახის შვილი – მეუღლე მარგო. ყველაფერმა ამან მოურჩენელი წყლული გაუჩინა – ბედნიერებისაკენ მიმავალი გზიდან გადაახვევინა. შეიძლება ამის შემდეგაც ბევრს ეწია, მაგრამ გადამტვრეული მჭადის გამოტყულება არ ხდება. მეორე ოჯახი, შვილის ნაადრევად გარდაცვალების სიმწარე მასში ნათლად ჩანდა და ვფიქრობ, უსიყვარულოდ წავიდა ამ ქვეყნიდან – ვერ ეღიროს მისი ლამაზი სულისა და გარეგნობის სილამაზის შესაფერ ბოლოს. განვიცდი მის უბედობას და ჩემს საუთარსაც ვადარებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ აქ, ალბათ, ღმერთისა და განგების ძღვენი უფრო კარნახობს, ვიდრე ჩვენი. ბუმბულივით ყოფილიყოს მის გულზე დაყრილი საქართველოს მიწა.

გასო მინელავილი ისრაელი. ხოლონი.

დაფუძნებელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57



რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთავრინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921



რედაქტორი გურამ ბათიაშვილი

6060 ლომია